ალფა ექსპრესი
ALPHA EXPRESS

Georgia. 0179,Tbilisi
5 Kavsadze str
Tel.: 032 225 95 75
kdarsadze@alpha-express.ge

№ 236

23/09/2024წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხვედელობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ბატონ დავით მჭედლიძეს

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „ეი ენდ ემ", ზომითი კატეგორიის მიხედვით წარმოადგენს მეოთხე კატეგორიის საწარმოს.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი ფლობს 50%-იან წილს შპს „ეი ენდ ემ"-ში, რომელიც დარეგისტრირდა 2020 წლის 16 ნოემბერს და რომლის ძირითადი საქმიანობაა ინდივიდუალური, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. აღნიშნულ კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არ გააჩნია საკუთარი შემოსავალი, კომპანიის აქტივების არსებითი ნაწილს შეადგენს მხოლოდ მარაგები და სხვა აქტივები (დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნა 9-ში და შენიშვნა 12-ში), ხოლო კაპიტალი დამფუძნებლების შენატანებისგან. კომპანიას არ გააჩნია არსებითი ვალდებულებები და ხარჯები.

შესაბამისად სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები (მარაგების, სხვა აქტივების და კაპიტალის მუხლების გარდა, რომელთა შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში) არსებითად ერთმანეთისგან არ განსხვავდება.

გთხოვთ ანგარიშგებების წარმოდგენისას, ზემოაღნიშნული გარემოება მიიღოთ მხედველობაში და ბუღალტრული აღრიცხვის,ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის ბრძანება №6-6 მე-15 მუხლის შეუსრულებლობა ხარვეზად არ ჩაგვეთვალოს.

პატივისცემით,

ქეთევან დარსაძე

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი

დირექტორი

წერილის შინაარს გავეცანი და ვეთანხმებით

მიხეილ აბაიძე

შპს მოორ ეიბისი

პარტნიორი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
□□□3 წლის 3□ დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1	ჯგუფი და მისი ძირითადი საქმიანობა	9
2	ჯგუფის საოპერაციო გარემო	9
3	მომზადების საფუძველი	10
4	კონსოლიდაციის საფუძველი	10
5	ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
6	კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	18
7	ფული და ფულის ეკვივალენტები	20
8	გაცემული სესხები	20
9	მარაგები	23
10	ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	24
11	საგადასახადო აქტივები / (ვალდებულებები)	25
12	სხვა აქტივები	25
13	მიღებული სესხები	25
14	მიღებული ავანსები	26
15	საიჯარო ვალდებულება	26
16	სხვა ვალდებულებები	26
17	სააქციო კაპიტალი	26
18	საპროცენტო შემოსავალი	27
19	ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავალი	27
20	შემოსავლები / (ხარჯები) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	27
21	სხვა შემოსავალი	27
22	საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	27
23	ფინანსური რისკების მართვა	28
24	ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები	31
25	კაპიტალის ადეკვატურობა	32
26	დაკავშირებული მხარეები	32
27	პირობითი ვალდებულებები	33
28	საწარმოს უწყვეტობის განხილვა	33
29	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	33

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

• კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
• ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
• დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
• ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

• შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
• აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
• მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას ჯგუფის აქტივები;
• თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ქეთევან დარსაძე — დირექტორი

ნათია ჯანჯალია — მთავარი ბუღალტერი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი

თარიღი: 12 აპრილი, 2024

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული საღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი საღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას ჯგუფის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ქეთევან დარსაძე

დირექტორი

ნათია ჯანჯალია

მთავარი ბუღალტერი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი

თარიღი: 12 აპრილი, 2024

MOORE abc, LLC
2, D.Gamrekeli Str.
0160, Tbilisi, Georgia
T +995 32 2 000 123
E info@moore.ge
www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი"

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის" (შემდგომში ,,კომპანია'') და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში ,,ჯგუფი'') თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან საღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - ''აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე'' - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691 Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა *(გაგრძელება)*

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა (გაგრძელებ

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

• იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;

• მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.
ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

• ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა ***(გაგრძელება)***

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე **(გაგრძელება)**

• დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 12 აპრილი, 2024
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	3□-დეკ-□3	3□-დეკ-□□
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	23,808	106,090
გაცემული სესხები (წმინდა)	8	1,863,182	1,754,233
მარაგები	9	1,050,110	989,251
ძირითადი საშუალებები და აქტივების გამოყენების უფლება	10	128,281	206,965
საგადასახადო აქტივები	11	17,457	8,567
სხვა აქტივები	12	617,795	621,213
სულ აქტივები		**□□□3□□□□□33**	**□□□□□□□□□□□□3□□□□3□□□**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	9,518	9,518
მიღებული ავანსები	14	88,757	73,640
გადასახდელი დივიდენდი	17	-	26,948
საიჯარო ვალდებულება	15	99,556	158,562
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		3,376	2,790
სხვა ვალდებულებები	16	64,234	86,207
სულ ვალდებულებები		**□□□□□□□□□□□□□□**	**□□□□□□□□□□□□□□□3□□□□□□□**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	17	3,294,000	3,230,000
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(448,689)	(466,688)
არამაკონტროლებელი წილი		589,881	565,342
სულ კაპიტალი		**□□□3□□3□□□□□**	**□□□□□□□□□□□□□□□3□3□□□□□□□**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**□□□3□□□□□33**	**□□□□□□□□□□□□□□□3□□□□3□□□**

ქეთევან დარსაძე — დირექტორი

ნათია ჯანჯალია — მთავარი ბუღალტერი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი

თარიღი: 12 აპრილი, 2024

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	23,808	106,090
გაცემული სესხები (წმინდა)	8	1,863,182	1,754,233
მარაგები	9	1,050,110	989,251
ძირითადი საშუალებები და აქტივების გამოყენების უფლება	10	128,281	206,965
საგადასახადო აქტივები	11	17,457	8,567
სხვა აქტივები	12	617,795	621,213
სულ აქტივები		**3,700,633**	**3,686,319**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	9,518	9,518
მიღებული ავანსები	14	88,757	73,640
გადასახდელი დივიდენდი	17	-	26,948
საიჯარო ვალდებულება	15	99,556	158,562
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		3,376	2,790
სხვა ვალდებულებები	16	64,234	86,207
სულ ვალდებულებები		**265,441**	**357,665**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	17	3,294,000	3,230,000
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(448,689)	(466,688)
არამაკონტროლებელი წილი		589,881	565,342
სულ კაპიტალი		**3,435,192**	**3,328,654**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**3,700,633**	**3,686,319**

ნათია ჯანჯალია

მთავარი ბუღალტერი

ქეთევან დარსაძე

დირექტორი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი

თარიღი: 12 აპრილი 2024

სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	[illegible]3	[illegible]
საპროცენტო შემოსავალი	18	493,386	407,088
საპროცენტო ხარჯი	13; 14; 15	(8,570)	(19,789)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნამდე		[illegible]	[illegible]3
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ცვლილება		31,359	(21,889)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი რეზერვების შექმნის შემდეგ		[illegible]	[illegible]3
ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავალი	19	36,072	17,869
შემოსავლები / (ხარჯები) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	20	(249)	8,572
შემოსავლები / (ხარჯები) უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით		72,654	122,790
საკომისიო შემოსავლები		-	90
სხვა შემოსავალი	21	60,825	137,071
სულ შემოსავლები		[illegible]	[illegible]
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	22	(669,375)	(618,196)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		[illegible]	[illegible]33
მოგების გადასახადი		-	(16,748)
წმინდა მოგება/(ზარალი)		[illegible]	[illegible]
მოგება, რომელიც მიეკუთვნება:			
მშობელი საწარმოს მფლობელებს:		17,999	20,575
არამაკონტროლებელი წილი:		(1,897)	(3,717)

ქეთევან დარსაძე — ნათია ჯანჯალია

დირექტორი — მთავარი ბუღალტერი

დირექტორის ფუნქცია-მოვალეობების შემსრულებელი

თარიღი: 12 აპრილი, 2024

სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	18	493,386	407,088
საპროცენტო ხარჯი	13; 14; 15	(8,570)	(19,789)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნამდე		**484,816**	**387,299**
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ცვლილება		31,359	(21,889)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი რეზერვების შექმნის შემდეგ		**516,175**	**365,410**
ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავალი	19	36,072	17,869
შემოსავლები / (ხარჯები) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	20	(249)	8,572
შემოსავლები / (ხარჯები) უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით		72,654	122,790
საკომისიო შემოსავლები		-	90
სხვა შემოსავალი	21	60,825	137,071
სულ შემოსავლები		**685,477**	**651,802**
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	22	(669,375)	(618,196)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**16,102**	**33,606**
მოგების გადასახადი		-	(16,748)
წმინდა მოგება/(ზარალი)		**16,102**	**16,858**
მოგება, რომელიც მიეკუთვნება:			
მშობელი საწარმოს მფლობელებს:		17,999	20,575
არამაკონტროლებელი წილი:		(1,897)	(3,717)

ქეთევან დარსაძე
დირექტორი

ნათია ჯანჯალია
მთავარი ბუღალტერი

დირექტორის ფუნქცია-მოვალეობების შემსრულებელი

თარიღი: 12 აპრილი, 2024

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	3	
სესხის დასაფარად შემოსული თანხები		2,710,979	2,354,376
მიღებული პროცენტი		391,691	358,893
მიღებული ჯარიმა		36,072	17,869
გზავნილები და დანარჩენი საკომისიოები		18,408	82,461
გადასახადების ჩათვლის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები		7,380	17,641
წმინდა ფულადი სახსრები უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან		72,654	122,790
გაცემული სესხები		(2,653,203)	(2,435,898)
მარაგების შესყიდვა		(60,512)	(124,805)
გადახდილი ხელფასები		(346,091)	(310,427)
სხვა გასავლები და ხარჯები		(231,971)	(135,857)
გადახდილი გადასახადები		(115,946)	(144,861)
გადახდილი პროცენტი		(8,570)	(12,971)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	(21,504)
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივის შეძენა		-	-
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივის გაყიდვა		29,700	47,226
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულების გადახდა		(44,738)	(42,158)
კაპიტალის შევსება		59,000	65,000
არამაკონტროლებელი წილის მფლობელების მიერ კაპიტალის შევსება		53,113	92,700
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		3	
საკურსო სხვაობის შედეგი ფულსა და ფულად ეკვივალენტებზე		(249)	8,572
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)		33	
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში		106,090	167,042
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს		3	

ქეთევან დარსაძე — დირექტორი

ნათია ჯანჯალია — მთავარი ბუღალტერი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი

თარიღი: 12 აპრილი, 2024

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
სესხის დასაფარად შემოსული თანხები	8	2,710,979	2,354,376
მიღებული პროცენტი	8	391,691	358,893
მიღებული ჯარიმა		36,072	17,869
გზავნილები და დანარჩენი საკომისიოები		18,408	82,461
გადასახადების ჩათვლის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები		7,380	17,641
წმინდა ფულადი სახსრები უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან		72,654	122,790
გაცემული სესხები		(2,653,203)	(2,435,898)
მარაგების შესყიდვა		(60,512)	(124,805)
გადახდილი ხელფასები		(346,091)	(310,427)
სხვა გასავლები და ხარჯები		(231,971)	(135,857)
გადახდილი გადასახადები		(115,946)	(144,861)
გადახდილი პროცენტი		(8,570)	(12,971)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**(179,108)**	**(210,788)**
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	(21,504)
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივის შეძენა		-	-
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივის გაყიდვა		29,700	47,226
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**29,700**	**25,722**
საიჯარო ვალდებულების გადახდა		(44,738)	(42,158)
კაპიტალის შევსება		59,000	65,000
არამაკონტროლებელი წილის მფლობელების მიერ კაპიტალის შევსება		53,113	92,700
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**67,375**	**115,542**
საკურსო სხვაობის შედეგი ფულსა და ფულად ეკვივალენტებზე		(249)	8,572
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)		**(82,033)**	**(69,524)**
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში		106,090	167,042
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	7	**23,808**	**106,090**

ქეთევან დარსაძე
დირექტორი
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი
თარიღი: 12 აპრილი, 2024

ნათია ჯანჯალია
მთავარი ბუღალტერი

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	ჯგუფის კუთვნილი წილი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი წლის დეკემბრის მდგომარეობით					
დამატებით შეტანილი კაპიტალი	65,000	-	65,000	97,526	
წმინდა მოგება / (ზარალი) 2022 წლისთვის	-	20,575	20,575	(3,717)	
გამოცხადებული დივიდენდები	-	(26,949)	(26,949)	-	
ნაშთი წლის დეკემბრის მდგომარეობით					
დამატებით შეტანილი კაპიტალი	64,000		64,000	26,436	
წმინდა მოგება / (ზარალი) 2023 წლისთვის		17,999	17,999	(1,897)	
გამოცხადებული დივიდენდები					
ნაშთი წლის დეკემბრის მდგომარეობით					

ქეთევან დარსაძე — ნათია ჯანჯალია

დირექტორი — მთავარი ბუღალტერი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი

თარიღი: 12 აპრილი, 2024

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	ჯგუფის კუთვნილი წილი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,165,000**	**(460,314)**	**2,704,686**	**471,533**	**3,176,219**
დამატებით შეტანილი კაპიტალი	65,000	-	65,000	97,526	**162,526**
წმინდა მოგება / (ზარალი) 2022 წლისთვის	-	20,575	20,575	(3,717)	**16,858**
გამოცხადებული დივიდენდები	-	(26,949)	(26,949)	-	**(26,949)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,230,000**	**(466,688)**	**2,763,312**	**565,342**	**3,328,654**
დამატებით შეტანილი კაპიტალი	64,000		64,000	26,436	**90,436**
წმინდა მოგება / (ზარალი) 2023 წლისთვის		17,999	17,999	(1,897)	**16,102**
გამოცხადებული დივიდენდები			-		-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,294,000**	**(448,689)**	**2,845,311**	**589,881**	**3,435,192**

ქეთევან დარსაძე

დირექტორი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი

თარიღი: 12 აპრილი 2024

ნათია ჯანჯალია

მთავარი ბულალტერი

შენიშვნა □ ჯგუფი და მისი ძირითადი საქმიანობა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის" (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია") და მისი შვილობილი კომპანია შპს "ეი ენდ ემ"-ის (შემდგომში ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი") ფინანსურ ინფორმაციას.

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი" (ს/კ 202340984) დარეგისტრირდა 2006 წლის 14 ივნისს თბილისში, საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფალიაშვილის ქ., #53. სართული #1, ბინა #2.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიკრო სესხების გაცემა. კომპანიას აქვს 1 სერვის ცენტრი, რომელიც მდებარეობს ფალიაშვილის ქუჩაზე. კომპანია გასცემს 4 ტიპის სესხს: (1) იპოთეკური სესხი, რომლის უზრუნველყოფა ხდება უძრავი ქონების გარანტიით; (2) ავტო სესხი, რომლის უზრუნველყოფა ხდება ავტომობილებით; (3) სახელფასე სესხი, რომელიც გაიცემა ინდივიდზე რომლის სახელფასო შემოსავალი შეადგენს მინიმუმ 500 ლარს და (4) ბიზნეს სესხი, რომლის უზრუნველყოფა გარკვეულ შემთხვევებში ხდება უძრავი ქონებით. დადგენილია სესხის ზედა ზღვარი, რომელიც შეადგენს 100,000 ლარს.

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის" აქციონერები არიან:

აქციონერი	3□-დეკ-□3	3□-დეკ-□□
სურამელაშვილი რაფიელ	39.3%	38.1%
გიორგობიანი ეკატერინე	16.7%	17.0%
შპს თ&რ დისტრიბიუშენ	15.5%	15.8%
ჯალაბაძე გიორგი	7.9%	8.0%
სურამელაშვილი ელენე	3.8%	3.8%
კენკიშვილი თამარ	3.1%	3.1%
სურამელაშვილი ელისაბედი	2.0%	2.0%
მეტრეველი თეა	1.8%	1.9%
ჯალაბაძე მზია	1.8%	1.9%
ჯალაბაძე მიხეილ	1.8%	1.9%
ჯალაბაძე საბა	1.8%	1.9%
მერაბიშვილი ჰამლეტ	1.6%	1.6%
დარსაძე ქეთევან	1.5%	1.5%
მაჩიტიძე გიორგი	1.4%	1.5%
	□□□□□□	□□□□□□

შპს "ეი ენდ ემ" (ს/კ 405423224) (შემდგომში მოხსენიებული როგორც "შვილობილი") დარეგისტრირდა 2020 წლის 16 ნოემბერს თბილისში, საქართველოში. შვილობილის იურიდიული მისამართია: თბილისი, ვაკის რაიონი, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა #9ბ, სართული 7, ბინა #46ა.

შვილობილის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში, ქ. თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ბესიკის 1 ჩიხი #1ა-ში მდებარე 626 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე [საკადასტრო კოდი: 01.15.07.003.045] ინდივიდუალური, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

შენიშვნა □ ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს რეგულაციები მოიცავს მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფულადი სახით შენატანის განხორციელებას (მინიმუმ 1,000,000) ლარი და ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ფასს-ის შესაბამისად. საქართველოში დღესდღეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ კლიენტებისგან დეპოზიტების მიღება და სესხად ერთ ინდივიდზე 100,000 ლარზე მეტი თანხის გაცემა.

შენიშვნა □ ჯგუფის საოპერაციო გარემო *(გაგრძელება)*

ისეთი განვითარებადი ეკონომიკები, როგორიც საქართველოშია, ძალიან მგრძნობიარენი არიან ბაზარზე სწრაფი ცვლილებებისა და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერაციების წარმოება ისეთ რისკებთანაა დაკავშირებული, რომლებიც არაა დამახასიათებელი განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შეცვალა სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სამეწარმეო კანონები, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემოზე. საქართველოს კარგი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს საინვესტიციო გარემოს კუთხით. საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებული 2023 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს მაჩვენებელი 53 ქულაა (180 ქვეყანას შორის 49-ე ადგილებს იყოფს კვიპროსთან, გრენადასა და რუანდასთან). საქართველოს შედეგი გასულ წელთან შედარებით გაუარესდა 3 ქულით. (2022 წელს 56 ქულა).

შენიშვნა 3 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ჯგუფი საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და არ არის დაყოფილი როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი").

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ პირობით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შენიშვნა □ კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილ კომპანიას წარმოადგენს ისეთი საწარმო, სადაც დედა კომპანიას გააჩნია ხმების რაოდენობის ნახევარზე მეტი ან შესწევს უნარი აკონტროლოს ამ კომპანიის ოპერაციები და ფინანსური აქტივები. ამ შემთხვევაში ხდება კონსოლიდაცია. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც დედა კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც დედა კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვითება მთლიანად.

შვილობილი კომპანიის შეძენის აღსარიცხად გამოიყენება შეძენის მეთოდი. შესყიდული აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად განისაზღვრება მათი რეალური ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ შესყიდვის ღირებულება აჭარბებს კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას, მაშინ ხდება გუდვილის აღიარება. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია კომპანიის რეალურ ღირებულებაზე, მაშინ ეს სხვაობა აღიარდება პირდაპირ კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამაკონტროლებელი წილი არის წილი შვილობილ კომპანიაში, რომელიც არ ეკუთვნის დედა კომპანიას. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არსებული უმცირესობის წილი წარმოადგენს შვილობილი კომპანიის უმცირესობაში მყოფი აქციონერების წილის ღირებულებას. ჯგუფი არამაკონტროლებელ წილს აფასებს შვილობილის წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით.

ჯგუფის შიგნით მომხდარი წილების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება როგორც ტრანზაქცია ჯგუფის წევრებს შორის. ჯგუფის და არამაკონტროლებელი წილების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმის შესაბამისად, თუ როგორ შეიცვალა მფლობელების წილი შვილობილებში. ნებისმიერი სხვაობა მიღებული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებასა და არამაკონტროლებელი წილის ნაშთის ცვლილებას შორის, აღიარდება პირდაპირ კაპიტალის მუხლში, რომელიც მიეკუთვნება დედა კომპანიის მფლობელებს.

შენიშვნა □ კონსოლიდაციის საფუძველი *(გაგრძელება)*

ჯგუფი მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას, რომელიც კონსოლიდირებულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში:

		□□□3		□□□□	
	მისამართი	**მფლობელობა**	**ლარი**	**მფლობელობა**	**ლარი**
შპს "ეი ენდ ემ"	ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა, №9 სართული 7, ბინა #46ა.				
პირდაპირი ფლობა		50.00%	589,881	50.00%	565,342

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი" 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს შპს "ეი ენდ ემ"-ის (შემდგომში "შვილობილი") კაპიტალის 50.00% წილს (2022 წლის 31 დეკემბერი: 50.00%). თუმცა, შვილობილის წესდების მიხედვით, მეწილეების ხმის უფლება არ არის კაპიტალში მათი წილების პროპორციული და კომპანია ფლობს 100-დან 51 ხმას. შესაბამისად, კომპანიას გააჩნია კონტროლი შპს "ეი ენდ ემ"-ზე და მის შედეგებს ასახავს საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა □ ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

□□□ **ფინანსური ინსტრუმენტები**

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) ჯგუფი ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) ჯგუფი ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ ჯგუფი არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

შენიშვნა □ ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

□□□ ფინანსური ინსტრუმენტები *(გაგრძელება)*

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, ჯგუფი ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, ჯგუფი ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

იმ გაცემული სესხებისთვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, ჯგუფი გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე, პორთფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა (დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 6).

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით, გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9 - ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორ სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები. ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შენიშვნა □ ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

□□□ ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ანგარიშგების ისეთი მუხლი, რომლის კონვერტირება ნაღდ ფულში შესაძლებელია ერთ დღეში. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს: სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და ფულს ბანკში მიმდინარე ანგარიშებსა და ანაბრებზე.

□3 გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება საბაზრო ღირებულებას (რომელიც მომზმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია) დამატებული სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით სესხების გაუფასურების რეზერვების გამოკლებით.

სესხის ამორტიზებული ღირებულება არის სესხის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის, გამოკლებული სესხის გაუფასურება. შენატანები და შეღავათები, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი სესხის გაუფასურების რეზერვის შესაქმნელად იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს (ECL), კერძოდ ჯგუფი შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ვადაგადაცილებული დღეების გარდა მოდელირებისთვის ასევე იყენებს სხვა კრიტერიუმებს, როგორებიც არის: საკრედიტო რეიტინგის ცვლილება, რესტრუქტურიზაცია, საგადასახადო შემოწმება, სესხების წინსწრებით დაფარვა, ლიკვიდურობა და ა.შ. გარდა ამისა, მოდელში გამოიყენება საპროგნოზო მაკროეკონომიკური ინფორმაცია და ისეთი პარამეტრები, როგორებიცაა: სამომავლო დეფოლტის ალბათობა (PD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD). აქვე აღსანიშნია, რომ 2018 წლის 1 იანვრამდე ჯგუფი გაუფასურების ანარიცხს ქმნიდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N51-ის მიხედვით (აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ).

□□□ მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ფასდება სავარაუდო გასაყიდი ფასით, შემცირებული დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო სავარაუდო ფასებით.

მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ საბაზისო მეთოდს და მოიცავს შემდეგს:

- მიწის ღირებულება. მიწის თვითღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განსაზღვრული საბაზრო ღირებულებით.
- შემდგომი რეალიზაციის მიზნით ფლობილი კონსტრუქციებისა და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ღირებულება.

გასაყიდი ერთეულების თვითღირებულება მოგება-ზარალში განისაზღვრება გაყიდული ქონების პირდაპირი დანახარჯებისა და მისთვის მიკუთვნებული არაპირდაპირი ხარჯების ჯამის ოდენობით.

□□□ ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან.

შენიშვნა □ ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

□□□ ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივების ჯგუფი	ცვეთის განაკვეთი
საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სხვა ძირითადი საშუალებები	20%
სატრანსპორტო საშუალებები	15%-20%
კაპიტალური დანახარჯები იჯარით აღებული ობიექტის მიხედვით	15%

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეფასდეს მათი ღირებულება შეესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწერა.

□□□ მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებულნი არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. აქტივების საგადასახადო (დასაბეგრ) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებაზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღებიდან გადააქვს მოგების განაწილებაზე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს, მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ საგადასახადო პერიოდებზე და ეხება ყველა საწარმოს, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (მაგალითად, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი თავდაპირველად ამოქმედდა 2020 წლის 1 იანვრიდან საფინანსო დაწესებულებებისთვის.

2023 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მნიშვნელოვანი ცვლილებები. კონკრეტული ცვლილებები შევიდა საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო გაერთიანებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სესხის გამცემი საწარმოების დაბეგვრის რეჟიმში, მათ შორის საპროცენტო შემოსავლის და პოტენციური ზარალის რეზერვების აღრიცხვის სტანდარტების განსაზღვრის ჩათვლით. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების თანახმად:

* მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს კომერციული ბანკებისთვის, საკრედიტო გაერთიანებებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი საწარმოებისთვის წარმოადგენს სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ მთლიან შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ დაქვითვებს შორის.

შენიშვნა □ ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

□□□ **მოგების გადასახადი *(გაგრძელება)***

* კომერციული ბანკები, საკრედიტო გაერთიანებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სესხებზე დარიცხულ პროცენტს აღიარებენ, როგორც შემოსავალს და სესხით შესაძლო ზარალის რეზერვს დაქვითავენ მთლიანი შემოსავლიდან, ფასს სტანდარტის შესაბამისად.

* მოგების გადასახადის განაკვეთი კომერციული ბანკებისთვის, საკრედიტო გაერთიანებებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი საწარმოებისთვის 20%-ს შეადგენს.

* კომერციული ბანკების, საკრედიტო გაერთიანებების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და სესხის გამცემი საწარმოების მიერ 2023 წლის და მომდევნო პერიოდების მოგებიდან გაცემული დივიდენდები არ იბეგრება გადახდის წყაროსთან და არ უნდა იყოს შესული დივიდენდების მიმღების მთლიან შემოსავალში.

□□□ **არაფინანსური აქტივების გაუფასურება**

არაფინანსური აქტივები, რომლებიც ჯგუფის შემთხვევაში წარმოადგენს ძირითად საშუალებებსა და გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაფასდება გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობისას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენების ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში მოხდა ცვლილება. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზომით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა თუ ამორტიზაციის გამოქვითვით, თუ არ მოხდებოდა გაუფასურების ზარალის აღიარება.

□□□ **მიღებული სესხები**

მიღებული სესხები აღიარდება მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, რა პერიოდშიც ეს ხარჯები წარმოიშვა.

□□□ **იჯარა**

განსაზღვრება იმისა შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიცემის სანაცვლოდ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აღიარებს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას.

შენიშვნა □ ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს უშუალოდ საიჯარო ვალდებულებებს, დაკორექტირებულს ნებისმიერი დამატებითი გადასახადით, რომელიც განხორციელდა იჯარის დაწყების თარიღში ან მანამდე, ასევე, მოიჯარის მიერ გაწეულ ნებისმიერ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟის ან ფილიალებსა და ოფისებში განხორციელებული გაუმჯობესების მოსახსნელად.

აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყებიდან ვადის დასრულებამდე ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით, რომელიც აღირიცხება სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც ცვეთის ხარჯი.

საიჯარო ვალდებულება

ჯგუფი იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს.

ზოგადად, საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებულ ფიქსირებულ გადახდებს) მიღებული საიჯარო წამახალისებელი გადახდების გამოკლებით; ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

ჯგუფის შემთხვევაში, საიჯარო გადახდები მოიცავს ყოველთვიურ ფიქსირებულ გადასახდელებს უცხოურ ვალუტაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ამასთანავე, ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

□□□□ **სხვა ვალდებულებები**

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზებული ხარჯით.

□□□□ **სააქციო კაპიტალი**

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან აქციების ოფციონებთან, აღიარდება როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის გათვალისწინებით.

□□□□ **საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება**

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავენ გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდევინება პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებით, ან ფინანსური ვალდებულების გამოცემასთან დაკავშირებით, მაგ. კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობების მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება.

შენიშვნა □ ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

□□3 მოსაკრებლები, საკომისიოები, სხვა შემოსავლები და ხარჯები

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებაში, რომელიც ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

□□□□ უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2023 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთები მოცემულია ცხრილში:

	3□-დეკ-□3	3□-დეკ-□□
აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ევრო	2.9753	2.8844

□□□□ ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები (გაცემული სესხები და მოთხოვნები) და ვალდებულებები (მიღებული სესხები და ვალდებულებები) ურთიერთგადაიფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის საღრიცხვო პოლიტიკაში.

□□□□ ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

ბასს □□□ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან

ეს შესწორების დოკუმენტი მოითხოვს, რომ კომპანიამ მთლიანი (ბრუტო) თანხით აღიაროს იმ საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წინათ აღიარებული იყო ნეტო საფუძველზე. ეს გავლენას არ ახდენს ბალანსში ასახულ თანხებზე, ვინაიდან ეს თანხები ისევ ურთიერთგადაფარვას ექვემდებარება ბასს 12-ის მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა, მე-8 შენიშვნაში ზემოაღნიშნული თანხები წარმოდგენილია ბრუტო სახით. წინა პერიოდში გამჟღავნებული მონაცემები ასევე შეიცვალა ამ შესწორებების დოკუმენტში გათვალისწინებული გარდა მავალი დებულებების შესაბამისად;

□□□□ ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (გაგრძელება)

ბასს □□□ის შესწორებები – „საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე პილარის მოდელის წესები“.

ზემოაღნიშნული შესწორებები კომპანიას საშუალებას აძლევს, არ აღიაროს ის გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულები, რომლებიც დაკავშირებულია მეორე პილარის საგადასახადო რეფორმასთან. საგადასახადო რეფორმის (მეორე პილარის კანონმდებლობის ძალაში შესვლის) მდგომარეობის გაურკვეველი ხასიათის გამო, კომპანიამ ვერ შეძლო ამ რეფორმის მოსალოდნელი რაოდენობრივი გავლენის შეფასება იმ გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული არ იყო მიმდინარე პერიოდში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. წინა პერიოდში არანაირი თანხები არ არის აღიარებული მეორე პილარის მოდელის წესებთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც უნდა გამოვიყენოთ ზემოაღნიშნული შესწორება.

შენიშვნა □ ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

□□□□ სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ბასს 1-ის შესწორებები – ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად და ბასს 1-ის შესწორებები – გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით

ზემოაღნიშნული ორივე შესწორების დოკუმენტი ერთობლიობაში გავლენას ახდენს ვალდე ბულებების კლასიფიკაციაზე კოვენანტების მქონე ვალდებულებებად, ასევე კომპანიის მიერ გამოშვებული ყველა კონვერტირებადი სავალო ვალდებულების კლასიფიკაციაზე კოვენანტების მქონე ვალდებულებებად, თუ ვლდებულება მოიცავს კონვერტაციის პირობას. ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ზოგიერთი ვალის კლასიფიკაციაზე და შესაძლოა სავალდებულო იყოს განმარტებით შენიშვნებში დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება არსებული კოვენენტების გავლენის შესახებ კომპანიაზე.

ამჟამად კომპანია ჯერ ისევ აწარმოებს ამ შესწორებების გავლენის შეფასებას. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ბასს 7-ისა და ფასს 7ის შესწორებები - მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები

ამჟამად კომპანია ჯერ ისევ აწარმოებს ამ შესწორებების გავლენის შეფასებას. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ეს ცვლილება ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

დღეისთვის არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან შესწორებების დოკუმენტი, რომელიც სავარაუდოდ არსებით გავლენას იქონიებს ჯგუფზე.

შენიშვნა □ კრიტიკული საღრიცხვო შეფასებები

საღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, ჯგუფის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

მსჯელობები, რომლებიც განსაკუთრებულად აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადა – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

ბ) საიჯარო ვადის განსაზღვრა

საიჯარო ვადის განსაზღვრისას ჯგუფის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ქმნის სტიმულს, რომ გამოიყენოს გაგრძელების ოფციონი ან არ გამოიყენოს შეწყვეტის ოფციონი. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) გათვალისწინებულია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძველი (ან არ შეწყვეტის საფუძველი). შეფასების გადახედვა ხდება თუ მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდება გარემოებებში, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და რომელიც მოქცეულია მოიჯარის კონტროლის ფარგლებში.

შენიშვნა □ კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

გ) ზღვრული სასესხო განაკვეთის განსაზღვრა

როდესაც ჯგუფს არ შეუძლია ადვილად განსაზღვროს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, იყენებს მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. შესაბამისად, ზღვრული სასესხო განაკვეთი საჭიროებს შეფასების გაკეთებას როდესაც ჯგუფისთვის არ არის ხელმისაწვდომი ემპირიული განაკვეთები ან როდესაც საჭიროა მათი იმგვარად დაკორექტირება რომ ასახოს იჯარის პირობები.

ზოგადად ჯგუფი ზღვრულ სასესხო განაკვეთს აფასებს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით (როგორიცაა საკუთარ მოზიდულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი ან/და კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთი იჯარის მსგავს სესხებზე).

დ) მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი

2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებებიდან კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ფასს 9-ის დანერგვამ. სტანდარტის მიღებით გამოწვეული ცვლილებები აისახა 2018 წლის 1 იანვარს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის შეფასება.

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვების შეფასებაზე:

დეფოლტის ალბათობა (PD): წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. აღნიშნული მაჩვენებელი გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი. სამომავლო მოლოდინები დაანგარიშებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური სცენარებით.

ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში (LGD): წარმოადგენს შესაძლო ზარალის შეფასებას, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის შეფასება *(გაგრძელება)*

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL): მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას გამოყენებულია გონივრული და ფაქტებით გამყარებული საპროგნოზო ინფორმაცია, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ. დეტალური ინფორმაცია ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტის შესახებ მოცემულია 8.4 შენიშვნაში.

ე) გადასახადები

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ ჯგუფს დაეკისრება დამატებითი გადასახდები. როცა საბოლოო საგადასახდო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

უზრუნველყოფის საგნის რეალური ღირებულების შეფასება - მენეჯმენტი რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. მენეჯმენტი იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულებია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

შენიშვნა □ ფული და ფულის ეკვივალენტები

	შენიშვნა	3□-დეკ-□3	3□-დეკ-□□
ნაღდი ფული	7.1	170	36,852
ფული ბანკში	7.1	23,638	69,238
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები		□□□□□□□□□□3□□□	□□□□□□□□□□□□

□□□ **ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით**

	3□-დეკ-□3	3□-დეკ-□□
ქართული ლარი (GEL)	14,590	51,456
აშშ დოლარი (USD)	5,068	29,942
ევრო (EUR)	4,150	24,692
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	□□□□□□□□□□3□□□	□□□□□□□□□□□□

ჯგუფის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. ჯგუფის ფულადი სახსრების უმეტესობა არის იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც B ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი), BB - ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ყოფილა მატერიალური სხვაობა ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის.

შენიშვნა □ გაცემული სესხები

ჯგუფი სესხებს გასცემს ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, ნებისმიერი მიზნობრიობით. ჯგუფი სესხებს გასცემს ლარში 1 თვიდან 10 წლამდე ვადით. გაცემული სესხების წლიური პროცენტი ძირითადად მერყეობს 18 პროცენტიდან 42 პროცენტამდე. დაფარვის გრაფიკის მიხედვით გაცემული სესხები 3 ჯგუფად იყოფა: სესხის ძირის ვადის ბოლოს დაფარვით, ანუიტეტის პრინციპით და კომბინირებული (მსესხებელი დამოუკიდებლად ირჩევს ძირითადი თანხის დაფარვის საშეღავათო პერიოდს). გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, მოძრავი ქონებით და თავდებობით, თუმცა გვხვდება არაუზრუნველყოფილი სესხებიც.

	შენიშვნა	3□□დეკ-□3	3□□დეკ-□□
ბიზნეს სესხი		1,415,001	1,217,113
სამომხმარებლო სესხი		82,575	107,863
ავტო ლომბარდი		511,112	634,035
იპოთეკური სესხი		50,500	4,592
დარიცხული პროცენტი		79,018	37,025
მთლიანი გაცემული სესხები	□□□	□□□□□□□□□3□□□	□□□□□□□□□□□□
მინუს: გაუფასურების რეზერვი	□□□	(275,023)	(246,396)
წმინდა გაცემული სესხები		□□□□□□□□□3□□□	□□□□□□□□□□33

□□□ **მთლიანი სასესხო პორტფელი ძირის და დარიცხული პროცენტის მიხედვით**

	3□-დეკ-□3	3□□დეკ-□□
სესხის ძირი	2,059,187	1,963,603
დარიცხული პროცენტი	79,018	37,025
მთლიანი სასესხო პორტფელი	□□□□□□□□□3□□□	□□□□□□□□□□□□

შენიშვნა □ გაცემული სესხები (გაგრძელება)

□□□ გაცემული სესხის ძირის განაწილება სესხის ვადიანობის მიხედვით

	3□-დეკ-□3	3□□დეკ-□□
1 წელზე ნაკლები	148,393	796,215
1-დან 3 წლამდე	667,100	585,089
3-დან 5 წლამდე	721,387	455,499
5 წელზე მეტი	522,308	126,799
სულ გაცემული სესხის ძირი	□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□3□□□3

□3 უზრუნველყოფის ანალიზი

ჯგუფის მიერ გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით (მიწა, შენობა), ავტომობილით, მსესხებლისგან (ან მესამე პირისგან) მიღებული კრედიტით ან გარანტიით.

შემდეგი გვერდიდან მოცემული ცხრილი ასახავს სესხის ძირის ნაშთების ანალიზს (სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლების გარეშე) მათი შესაბამისი უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებებთან მიმართებაში (გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით: რეალურ ღირებულებას გამოკლებული გირაოს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები):

	3□□დეკ-□3		3□□დეკ-□□	
	სესხის მიმდინარე ღირებულება	უზრუნველყოფის FVLCS *	სესხის მიმდინარე ღირებულება	უზრუნველყოფის FVLCS *
იპოთეკური სესხი	50,500	130,000	4,592	935,433
ავტო ლომბარდი	511,112	894,693	634,035	1,875,113
სამომხმარებლო სესხი	82,575	-	107,863	-
ბიზნეს სესხი	1,415,001	3,169,230	1,217,113	2,863,519
სულ	□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□3□□□3	□□□□□□□3□□□3	□□□□□□□□□□□□□□□

* FVLCS - უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები

□□□ სესხების გაუფასურების რეზერვი

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის მიერ გაცემული ძირითადი სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, ავტომობილით, მსესხებლისგან (ან მესამე პირისგან) მიღებული კრედიტით ან გარანტიით, მენეჯმენტს 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული მიზანშეწონილად მიაჩნია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელის მიხედვით რეზერვის შექმნა.

სესხის გაუფასურების რეზერვი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ცხრილში:

შენიშვნა □ გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხის გაუფასურების რეზერვი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ცხრილში:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12 თვიანი ECL	სრული ECL - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს □-ის მიხედვით				
ახალი გაცემული სესხები	3,118,119	-		**3**
გადატანა პირველ ეტაპზე	-	-		
გადატანა მეორე ეტაპზე	(1,190,044)	1,190,044		
გადატანა მესამე ეტაპზე	-	-		
დაფარული სესხები	(2,117,148)	(741,080)		
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-		
ადრე ჩამოწერილი სესხებიდან მიღებული თანხები	-	-		
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	189,073	(281,123)		
ბალანსი 3□დეკემბერი □□□3				

გაცემული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12 თვიანი ECL	სრული ECL - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს □-ის მიხედვით	-	246,396	-	**3**
ახალი გაცემული სესხები	396,578	-		**3**
გადატანა პირველ ეტაპზე	-	-		
გადატანა მეორე ეტაპზე	(237,235)	237,235		
გადატანა მესამე ეტაპზე	-	-		
დაფარული სესხები	(159,343)	(183,396)		**3** **3**
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-		
ადრე ჩამოწერილი სესხებიდან მიღებული თანხები	-	-		
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	-	(25,212)		
ბალანსი 3□დეკემბერი □□□3		**3**		**3**

შენიშვნა □ გაცემული სესხები (გაგრძელება)

□□□ სესხების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)

სესხის გაუფასურების რეზერვი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ცხრილში:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12 თვიანი ECL	სრული ECL - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს □-ის მიხედვით	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□
ახალი გაცემული სესხები	229,949	-	-	□□□□□□□□□□□□
გადატანა პირველ ეტაპზე	-	-	-	□□□□□□□□□□□□□□□□
გადატანა მეორე ეტაპზე	(184,796)	184,796	-	□□□□□□□□□□□□□□□□
გადატანა მესამე ეტაპზე	-	-	-	□□□□□□□□□□□□□□□□
დაფარული სესხები	(45,152)	(161,039)	-	□□□□□□□□□□□□□□□□
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	-	□□□□□□□□□□□□□□□□
ადრე ჩამოწერილი სესხებიდან მიღებული თანხები	-	-	-	□□□□□□□□□□□□□□□□
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	-	13,387	-	□□□□□□□□□□□□□□□□
ბალანსი 3□ დეკემბერი □□□□	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□

გაცემული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12 თვიანი ECL	სრული ECL - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს □-ის მიხედვით	-	1,899,966	-	□□□□□□□□□□□□
ახალი გაცემული სესხები	2,435,898	-	-	□□□□□□□□□□□□
გადატანა პირველ ეტაპზე	-	-	-	□□□□□□□□□□□□□□□□
გადატანა მეორე ეტაპზე	(1,487,572)	1,487,572	-	□□□□□□□□□□□□□□□□
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(24,198)	-	□□□□□□□□□□□□□□□□
დაფარული სესხები	(1,126,517)	(1,586,583)	-	□□□□□□□□□□□□□□□□
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	-	□□□□□□□□□□□□□□□□
ადრე ჩამოწერილი სესხებიდან მიღებული თანხები	-	-	-	□□□□□□□□□□□□□□□□
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	178,192	186,847	-	□□□□□□□□□□□□□□□□
ბალანსი 3□ დეკემბერი □□□□	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□

შენიშვნა □ მარაგები

ჯგუფის მარაგები მოიცავს შპს "ეი ენდ ემ"-ის საკუთრებაში არსებულ 626 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მშენებარე ინდივიდუალურ ერთბინიან საცხოვრებელ სახლს, რომელიც მდებარეობს სოფელ ოქროყანაში, ბესიკის 1 ჩიხი №1ა-ში. მშენებლობის დასრულების შემდეგ, კომპანიას გამიზნული აქვს აღნიშნული საცხოვრებელი სახლის რეალიზაცია მისი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის აღნიშნული მშენებარე საცხოვრებელი სახლის ღირებულება შეადგენს 1,050,110 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: 989,251 ლარი).

შენიშვნა □□ ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება

□□□3□წელი	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და მოწყ.-ები	სხვა აქტივები/ავტომობილები	იჯარით აღებულ ობიექტზე გაწეული კაპ. დანახარჯები	საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება	სულ
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	23,157	22,366	21,718	23,555	277,801	□□□3□□□□
დამატებები	1,902	-	38	-	113,805	□□□□□□□□
გასვლები	-	-	-	-	-	□□□□□□□□□
ჩამოწერები	-	-	-	-	(250,390)	□□□□□□3□□
იჯარის მოდიფიკაცია	-	-	-	-	(28,100)	□□□□□□□□
ნაშთი □□□3□წლის 3□□დეკემბრისთვის	□□□□□□□	□□□□□□□3□□	□□□□□□□□	□□□□□□3□□	□□□□□□3□□	□□□□□□□
აკუმულირებული ცვეთა						
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	(23,125)	(15,753)	(20,232)	(7,204)	(95,318)	□□□□□□□3□□
პერიოდის ცვეთა	(295)	(1,827)	(591)	(3,094)	(50,242)	□□□□□□□□
ჩამოწერები	-	-	-	-	108,106	□□□□□□□
იჯარის მოდიფიკაცია	-	-	-	-	32,005	□□□□□□3□
ნაშთი □□□3□წლის 3□□დეკემბრისთვის	□□□□□3□□	□□□□□□□□	□□□□□□□3□□	□□□□□□□□	□□□□□□□□	□□□□□□□□
ნარჩენი ღირებულება						
ნაშთი □□□□□წლის 3□□დეკემბრისთვის	□□□□□□□3□□	□□□□□□□□3□□	□□□□□□□□□	□□□□□□□3□□	□□□□□□□3□□	□□□□□□□□
ნაშთი □□□3□წლის 3□□დეკემბრისთვის	□□□□□□3□□	□□□□□□□□□	□□□□□□□33	□□□□□□3□□	□□□□□□□□	□□□□□□□□

□□□□□წელი	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და მოწყ.-ები	სხვა აქტივები/ავტომობილები	იჯარით აღებულ ობიექტზე გაწეული კაპ. დანახარჯები	საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება	სულ
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	23,157	22,366	21,484	23,555	277,801	□□□3□□3□3
დამატებები	-	-	47,460	-	-	□□□□□□□□
გასვლები	-	-	(47,226)	-	-	□□□□□□□□
ჩამოწერები	-	-	-	-	-	□□□□□□□□
იჯარის მოდიფიკაცია	-	-	-	-	-	□□□□□□□□
	-	-	-	-	-	
ნაშთი □□□□□წლის 3□□დეკემბრისთვის	□□□□□3□□	□□□□□□□3□□	□□□□□□□□	□□□□□□3□□	□□□□□□□	□□□□□3□□
აკუმულირებული ცვეთა						
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(22,409)	(13,626)	(19,688)	(2,423)	(42,403)	□□□□□□□□
პერიოდის ცვეთა	(716)	(2,127)	(544)	(4,781)	(52,915)	□□□□□□□3□
ჩამოწერები	-	-	-	-	-	□□□□□□□□
იჯარის მოდიფიკაცია	-	-	-	-	-	□□□□□□□□
ნაშთი □□□□□წლის 3□□დეკემბრისთვის	□□□□□3□□	□□□□□□□3□□	□□□□□□□3□□	□□□□□□□□	□□□□□□3□□	□□□□□□3□□
ნარჩენი ღირებულება						
ნაშთი □□□□□წლის 3□□დეკემბრისთვის	□□□□□□□□	□□□□□□□□	□□□□□□□□	□□□□□□3□□	□□□□□□3□□	□□□□□□□□
ნაშთი □□□3□წლის 3□□დეკემბრისთვის	□□□□□□3□□	□□□□□□□3□□	□□□□□□□□	□□□□□□3□□	□□□□□□3□	□□□□□□□□

შენიშვნა □□ საგადასახადო აქტივები / (ვალდებულებები)

	3□□დეკ-□3	3□□დეკ-□□
მოგების გადასახადი	16,899	8,204
საშემოსავლო გადასახადი	473	436
გადახდილი დღგ	-	-
გადასახდელი დღგ	-	(88)
სხვა საგადასახადო აქტივი	85	15
სულ საგადასახადო აქტივები / (ვალდებულებები)	□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□

შენიშვნა □□ სხვა აქტივები

	3□□დეკ-□3	3□□დეკ-□□
მოთხოვნები სატრანსპორტო საშუალებების რეალიზაციიდან	430,419	438,445
გადახდილი ავანსები	161,772	164,293
დებიტორული დავალიანება	13,954	15,744
მოთხოვნები გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან	7,751	-
სხვა აქტივები	3,899	2,736
სულ სხვა აქტივები	□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□

შენიშვნა □3 მიღებული სესხები

	3□□დეკ-□3	3□□დეკ-□□
დამფუძნებლებისაგან მიღებული სესხები	-	-
გადასახდელი პროცენტი	9,518	9,518
სულ მიღებული სესხები	□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი პროცენტის ნაშთი უცვლელია და შეადგენს 9,518 ლარს.

2022 წლის 27 ივნისის კრების ოქმის საფუძველზე, დაკავშირებული მხარესგან მიღებული სესხის ნაშთი, 113,605 ლარი შეტანილია კაპიტალში, ხოლო გადასახდელი პროცენტი 9,518 ლარის ოდენობით კვლავ წარმოადგენს ვალდებულებას დაკავშირებული მხარეს მიმართ.

მიღებული სესხის ძირი და პროცენტის თანხების განაწილება ვადიანობის მიხედვით

	3□□დეკ-□3	3□□დეკ-□□
1 წელზე ნაკლები	9,518	9,518
სულ მიღებული სესხები	□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□

შემდეგი ცხრილები აჩვენებს აღებული სესხების ძირი თანხის ცვლილებებს პერიოდში:

□□□3□წელი	ფიზიკური პირები	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,518	□□□□□□□□□□□□
კაპიტალში შეტანილი სესხის ძირის თანხა	-	□□□□□□□□□□□□
დარიცხული პროცენტი	-	□□□□□□□□□□□□
□□□3□წლის 3□□დეკემბრის მდგომარეობით	□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□

□□□□წელი	ფიზიკური პირები	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	116,236	□□□□□□□□3□
კაპიტალში შეტანილი სესხის ძირის თანხა	(113,605)	□□□□□□□3□□□
დარიცხული პროცენტი	6,887	□□□□□□□□□□□□
□□□□წლის 3□□დეკემბრის მდგომარეობით	□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□

შენიშვნა □□ მიღებული ავანსები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარებოით, მიღებული ავანსები წარმოადგენს შვილობილ კომპანიაში წილის გაყიდვიდან წინასწარ მიღებულ ფულად სახსრებს 88,757 ლარის ოდენობით; (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 73,640 ლარი)

შენიშვნა □□ საიჯარო ვალდებულება

	3□□დეკ-□3	3□□დეკ-□□
საიჯარო ვალდებულებები წლის დასაწყისში	158,562	225,635
დამატებები	113,805	-
იჯარის მოდიფიკაცია*	(125,827)	-
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	8,570	12,903
გადახდილი საიჯარო გადასახდელები	(53,308)	(55,061)
საკურსო სხვაობა	(2,245)	(24,915)
სულ საიჯარო ვალდებულებები	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□

* 2023 წლის 27 ივნისს გაფორმდა შეთანხმება იჯარის ცვლილების თაობაზე, რის საფუძველზეც შეიცვალა იჯარის თანხა და ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 2023 წლის 1 აგვისტოდან 2025 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

შენიშვნა □□ სხვა ვალდებულებები

	3□□დეკ-□3	3□□დეკ-□□
წინსწრებით მიღებული სასესხო თანხები	13,557	42,134
ვალდებულებები მომსახურების კონტრაქტების მიხედვით	25,021	18,401
სხვა ვალდებულებები	25,656	25,672
სულ სხვა ვალდებულებები	□□□□□□□□□□□□□□□□3□	□□□□□□□□□□□□□□□□

შენიშვნა □□ სააქციო კაპიტალი

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის" სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია ლარში კომპანიის წესდების თანახმად. დამტკიცებული სააქციო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შედგება 50,000 ჩვეულებრივი აქციისგან. თითოეული აქციის ღირებულება შეადგენს 100 ლარს. ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდი საკუთარი აქციების პროპორციულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზებული სააქციო კაპიტალი	3□-დეკ-□3		3□-დეკ-□□	
	აქციების რაოდენობა	**ავტორიზებული სააქციო კაპიტალი**	**აქციების რაოდენობა**	**ავტორიზებული სააქციო კაპიტალი**
ჩვეულებრივი აქციები	50,000	5,000,000	50,000	5,000,000
ავტორიზებული სააქციო კაპიტალი	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□

ავტორიზებული სააქციო კაპიტალი აღიარდება კომპანიის სააქციო კაპიტალად რამდენადაც ის რეალურად ჩადებულია კომპანიის აქციონერების მიერ. კომპანიის სააქციო კაპიტალი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს არის:

სააქციო კაპიტალი	3□-დეკ-□3		3□-დეკ-□□	
	აქციების რაოდენობა	**სააქციო კაპიტალი**	**აქციების რაოდენობა**	**სააქციო კაპიტალი**
ჩვეულებრივი აქციები	32,940	3,294,000	32,300	3,230,000
სააქციო კაპიტალი	□□□□□□□□□□□□□□3□	□□□□□□□□□□□□□□3□	□□□□□□□□□□□□□□3□	□□□□□□□□□□□□□□3□

შენიშვნა □□ სააქციო კაპიტალი (გაგრძელება)

დივიდენდები

2023 წლის განმავლობაში ჯგუფმს არ გამოუცხადებია დივიდენდის გაცემა, (2022 წლის განმავლობაში ჯგუფმა 26,948 ლარის ოდენობის დივიდენდი გამოაცხადა). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი დივიდენდის ნაშთი შეადგენს 0 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: 26,948 ლარი).

შენიშვნა □□ საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს ჯგუფის მიერ გაცემული სესხებიდან მიღებულ საპროცენტო სარგებელს, რომელმაც 2023 წლის განმავლობაში შეადგინა 493,386 ლარი (2022 წელი: 407,088 ლარი).

შენიშვნა □□ ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავალი

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს ჯგუფის მომხმარებლების მიერ (მსესხებლები) ვადაგადაცილებული სესხების, ასევე, სესხის წინასწარ დაფარვისას გადახდილ პირგასამტეხლოებს, რამაც 2023 წლის განმავლობაში ჯამურად შეადგინა 36,072 ლარი (2022 წელი: 17,869 ლარი).

შენიშვნა □□ შემოსავლები / (ხარჯები) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან

	□□□3 წელი	□□□□ წელი
შემოსავალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	23,538	68,460
ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(23,787)	(59,888)
შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან, წმინდა	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□

შენიშვნა □□ სხვა შემოსავალი

2023 წელს მიღებული სხვა შემოსავალი ძირითადად მოიცავს არამაკონტროლებელი წილის მქონე საწარმოს მიერ, შვილობილი კომპანიის კაპიტალში საკუთარი წილის არაპროპორციულ შენატანს.

შენიშვნა □□ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

	□□□3 წელი	□□□□□წელი
პერსონალის ხარჯები	435,521	383,844
ცვეთა და ამორტიზაცია	59,398	61,083
პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების ხარჯები	45,886	49,140
რეკლამის ხარჯები	18,865	17,401
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	17,604	18,479
კომუნალური ხარჯები	7,090	7,997
საბანკო ხარჯები	6,415	6,277
გაუთვალისწინებელი ხარჯები	2,412	4,500
საოფისე ხარჯები	2,473	3,455
დაცვის ხარჯები	3,585	3,425
საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები	3,188	3,332
მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯები	1,200	2,033
საკანცელარიო ხარჯები	1,168	2,010
საგადასახადო ხარჯები	586	-
სხვა საერთო ხარჯები	63,984	55,220
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	□□□□□□□□□□□□□□3□□	□□□□□□□□□□□□□□□□

შენიშვნა 3 ფინანსური რისკების მართვა

3.1 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობაზე და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

ჯგუფს მცირე რაოდენობით გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - კომპანიის მიერ სესხების გაცემა და სესხის მიღება ძირითადად ხდება ეროვნულ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილებიდან გამომდინარე რისკები მინიმალურია ჯგუფისთვის.

მენეჯმენტი აკონტროლებს სავალუტო რისკს იმით, რომ ცდილობს აქტივები და ვალდებულებები ერთი და იმავე ვალუტაში ჰქონდეს.

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში). ინვესტიციები არაფულად აქტივებში არ წარმოშობს სავალუტო რისკებს.

3 წლის 3 დეკემბრისათვის	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	14,590	5,068	4,150	23,808
გაცემული სესხები (წმინდა)	1,863,182	-	-	1,863,182
სხვა აქტივები (გარდა არაფინანსური აქტივებისა)	456,023	-	-	456,023
სულ	**333**			**3 3 3**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	9,518	-	-	9,518
საიჯარო ვალდებულება	-	99,556	-	99,556
სხვა ვალდებულებები (გარდა არაფინანსური ვალდებულებებისა)	50,678	-	-	50,678
სულ				
წმინდა სავალუტო პოზიცია	**3**			

წლის 3 დეკემბრისათვის	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	51,455	29,942	24,693	106,090
გაცემული სესხები (წმინდა)	1,734,937	19,296	-	1,754,233
სხვა აქტივები (გარდა არაფინანსური აქტივებისა)	456,920	-	-	456,920
სულ	**3 3**	**3**	**3**	**3**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	9,518	-	-	9,518
საიჯარო ვალდებულება	-	158,562	-	158,562
სხვა ვალდებულებები (გარდა არაფინანსური ვალდებულებებისა)	44,073	-	-	44,073
სულ	**3**			**3**
წმინდა სავალუტო პოზიცია		**3**	**3**	

შენიშვნა 3 ფინანსური რისკების მართვა *(გაგრძელება)*

3.1 სავალუტო რისკი *(გაგრძელება)*

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი ჯგუფის სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელობის დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან კაპიტალში, დადებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

		2023 წელი		2022 წელი	
ვალუტა	ცვლილება კურსში	გავლენა მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარი	-10%	9,449	8,031	10,932	9,293
	-5%	4,724	4,016	5,466	4,646
	5%	(4,724)	(4,016)	(5,466)	(4,646)
	10%	(9,449)	(8,031)	(10,932)	(9,293)

3.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად მის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას.

მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, ჯგუფი ახდენს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადიანობის ანალიზს ჯგუფის არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

2023 წლის 31 დეკემბრისათვის	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 3 წლამდე ვადის მქონე	3-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	23,808	-	-	-	23,808
გაცემული სესხები (წმინდა)	122,595	566,586	665,784	508,218	1,863,182
საგადასახადო აქტივები	17,457	-	-	-	17,457
სხვა აქტივები (გარდა არაფინანსური აქტივებისა)	456,023	-	-	-	456,023
სულ					
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	9,518	-	-	-	9,518
საიჯარო ვალდებულებები	60,250	39,306			99,556
სხვა ვალდებულებები (გარდა არაფინანსური ვალდებულებებისა)	50,678	-	-	-	50,678
სულ					
ლიკვიდურობის სხვაობა					
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა					

შენიშვნა 3 ფინანსური რისკების მართვა *(გაგრძელება)*

3.1 ლიკვიდურობის რისკი *(გაგრძელება)*

წლის 3 დეკემბრისათვის	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 3 წლამდე ვადის მქონე	3-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	106,090	-	-	-	106,090
გაცემული სესხები (წმინდა)	730,619	513,030	399,400	111,183	1,754,233
საგადასახადო აქტივები	8,567	-	-	-	8,567
სხვა აქტივები (გარდა არაფინანსური აქტივებისა)	456,920	-	-	-	456,920
სულ	3	3 3	3	3	3
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	9,518	-	-	-	9,518
საიჯარო ვალდებულებები	52,295	87,700	18,567	-	158,562
სხვა ვალდებულებები (გარდა არაფინანსური ვალდებულებებისა)	44,073			-	44,073
სულ					3
ლიკვიდურობის სხვაობა	3	33	3 33	3	3
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	3		3	3	

3.3 საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებებიდან, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფულად ნაკადებზე ან ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებებზე. ჯგუფის საოპერაციო შემოსავალი და ფულადი ნაკადები არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები, ყველა ამ ინსტრუმენტს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები, რომელიც არ არის დამოკიდებული ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთების მერყეობაზე.

3.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან, სესხებიდან და მოთხოვნებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი ჯგუფისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	3 -დეკ-3	3 -დეკ-
ფული და ფულის ეკვივალენტები (ფული ბანკში)	23,638	69,238
გაცემული სესხები (წმინდა)	1,863,182	1,754,233
სულ		3

შენიშვნა 3 ფინანსური რისკების მართვა *(გაგრძელება)*

3.1 საკრედიტო რისკი *(გაგრძელება)*

ჯგუფის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს ჯგუფისთვის. ჯგუფი ამ რისკს მართავს სესხის გაცემის სანაცვლოდ უზრუნველყოფის მოთხოვნით და სესხი/უზრუნველყოფის კოეფიციენტის საკმარისად მაღალ დონეზე შენარჩუნებით, რათა მოხდეს ყველა შესაძლო დანაკარგების რისკის გადაფარვა.

ჯგუფს გააჩნია პოლიტიკა და პროცედურები რისკების სამართავად, მათ შორის საკრედიტო კომიტეტი, რომელიც სასესხო აპლიკაციაში მოცემული ინფორმაციის ანალიზს ახდენს, რაც ამასთანავე აფასებს და ამცირებს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკის გადახედვა და დამტკიცება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

დამატებით, ჯგუფი ქმნის გაუფასურების ანარიცხს გაცემული სესხებისთვის და შესაბამისად საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება ასახულია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებაში. ჯგუფი იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ჯგუფის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

1 დონე	2 დონე	3 დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

შენიშვნა 4 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

4.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტორების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. ჯგუფი იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსასაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

ჯგუფი იყენებს შემდეგ დაშვებებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისას:

ა) 18-48%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება კლიენტებზე გაცემული სესხებიდან მისაღები მომავალი ფულადი სახსრების დისკონტირებისთვის;

ბ) 8-12%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება მიღებულ სესხებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებისთვის.

შენიშვნა □□ ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები *(გაგრძელება)*

□□□□ რეალური ღირებულების იერარქია

ჯგუფი იყენებს შემდეგ იერარქიას სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისათვის:

დონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.

დონე 2 შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემები ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

დონე 3 არათვალსაჩინო რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება თვალსაჩინო მონაცემებს და ხელმისაწვდომი შემავალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

შენიშვნა □□ კაპიტალის ადეკვატურობა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს საქართველოს ეროვნული ბანკი უსაზღვრავს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 1,000,000 ლარს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის" სააქციო კაპიტალი არის 3,294,000 ლარი (2022: 3,230,000 ლარი), შესაბამისად კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს.

შენიშვნა □□ დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე, ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 3□-დეკ□□□3	მიღებული სესხი	გადასახდელი პროცენტი	გაცემული სესხი	მისაღები პროცენტი
მეწილეები	-	-	30,261	99
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	84,207	449
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	9,518	249,442	2,022
სულ	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან □□□3	საპროცენტო შემოსავალი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
მეწილეები	8,508	-	40,179
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	5,142	-	167,454
სხვა დაკავშირებული მხარეები	56,782	-	40,178
სულ	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□□□□□

შენიშვნა □□ დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 3□-დეკ□□□□□	მიღებული სესხი	გადასახდელი პროცენტი	გაცემული სესხი	მისაღები პროცენტი
მეწილეები	-	-	70,208	721
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	44,789	191
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	9,518	280,448	1,710
სულ	□□□□□□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□□	□□□□□□3□□□□	□□□□□□□□□□□

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან □□□□ □□□□□წელი	საპროცენტო შემოსავალი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
მეწილეები	36,540	-	35,337
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	5,979	-	177,862
სხვა დაკავშირებული მხარეები	49,365	9,518	-
სულ	□□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□□	□□□□□□3□□□□

შენიშვნა □□ პირობითი ვალდებულებები

□□□□ სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, ჯგუფი წარმოადგენს სასამართლო პროცესის მხარეს. ანგარიშგების თარიღისათვის, ხელმძღვანელობისათვის არ არის ცნობილი ჯგუფის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

შენიშვნა □□ საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ჯგუფის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს ჯგუფის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შენიშვნა □□ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ჯგუფის აქციონერებმის მიერ სააქციო კაპიტალი 20,000 ლარის ოდენობით შეივსო.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

*****

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი

მმართველობითი ანგარიშგება

□□□3 წლის□3□ დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ალფა ექსპრესი
ALPHA EXPRESS

Georgia. 0179,Tbilisi
5 Kavsadze str
Tel.: 032 225 95 75
kdarsadze@alpha-express.ge

№ 90

12/04/2024

ს.ს. მისო ალფა ექსპრესის საქმიანობის მიმოხილვა

ს.ს. მისო „ალფა ექსპრესი“ წარმოადგენს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით რეგისტრირებულ სუბიექტს, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით, ახორციელებს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საქმიანობას. იგი გასცემს სამომხმარებლო(სახელფასე), იპოთეკურ და ავტო სესხებს. ს.ს. მისო „ალფა ექსპრესი“ არის საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციის წევრი. ს.ს. მისო „ალფა ექსპრესი“-ს ფასიან ქაღალდებს ფლობენ ფიზიკური და იურიდიული პირები. ინფორმაცია აღნიშნული პირების, მათ მიერ ფლობილი ფასიანი ქაღალდების, აღნიშნული ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულებისა და გამოშვებულ/ნებადართულ ასევე განთავსებულ ფასიან ქაღალდებში, მათი პროცენტული წილების შესახებ, ასახულია ფასიანი ქაღალდების რეესტრში.

ს.ს. მისო ,,ალფა ექსპრესი“ ბაზარზე 2006 წლიდან მოღვაწეობს.

2020 წელს კომპანიის პარტნიორთა მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შვილობილი კომპანიის - შპს „ეი ენდ ემ“-ის დაარსების შესახებ, რომლის საქმიანობასაც წარმოადგენს ქ. თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ბესიკის 1 ჩიხი N1ა-ში მდებარე 626 კვ.მ მიწის ნაკვეთზე [საკადასტრო კოდი: 01.15.07.003.045] ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. შვილობილ კომპანიაში განხორციელდება დაბანდება 150 000 დოლარის ოდენობით ეტაპობრივად. წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ს.ს. ,,ალფა ექსპრესის“ წილის გამოსყიდვა მეორე მხარის მიერ მოხდება 211 190 დოლარად.

2017 წლის პერიოდზე მოგებამ შეადგინა 569 650 ლარი, ხოლო 2018 წელს 122 630 ლარი, 2019 წელს დაფიქსირდა ზარალი 118 760 ლარის ოდენობით. 2020 წელს ჯგუფის მოგებამ შეადგინა 138 011 ლარი, 2021 წელს მოგებამ შეადგინა 115,689 ლარი, 2022 წელს მოგებამ შეადგინა 16 858 ლარი, 2023 წელს კი -16 102 ლარი.

ჯგუფს ფილიალები არ გააჩნია და ერთ ლოკაციაზე ოპერირებს, მისამართზე: ქ. თბილისი, ფალიაშვილის 53; სართული 1. ამასთანავე ახლო მომავალში ახალი ფილიალების გახსნა არ იგეგმება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის განაღდებული კაპიტალი შეადგენდა 3 294 000 ლარს, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 3 230 000 ლარს, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 3 165 000 ლარს, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 2 451 000 ლარს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 2 280 000 ლარს.

წინა წელთან შედარებით ჯგუფის განაღდებული კაპიტალის ზრდა განხორციელდა 64 000 ლარის ოდენობით, რაც კაპიტალის შევსების გზით ჯგუფში შემოსულ ლიკვიდურ სახსრებს წარმოადგენს.

ორგანიზაციული სტრუქტურა

ს.ს. მისო ,,ალფა ექსპრესი“-ის საქმიანობაზე მეთვალყურეობას სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს, რომელთა წევრებსაც მართვის დიდი გამოცდილება გააჩნიათ, მათ შორის საფინანსო სექტორში.
სამეთვალყურეო საბჭო ექვემდებარება აქციონერთა კრებას.
სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაშია:
დირექტორი და აუდიტის კომიტეტი. დირექტორის დაქვემდებარებაშია: საბუღალტრო განყოფილება; საკრედიტო განყოფილება; საოპერაციო განყოფილება; სალარო

ორგანიზაციაში განხორციელებული ტექნოლოგიური ცვლილებები

2015 წლიდან ჯგუფის ხელმძღვანელობამ პრიორიტეტად დაისახა ჯგუფში რიგი პროცედურული და ტექნოლოგიური ცვლილებების განხორციელება. პროცესისა და სისტემების ავტომატიზაციის მიზნით, ხელშეკრულება გაფორმდა კომპანია ,,ალტა სოფტვეართან“ საკრედიტო და ბუღალტრული სააღრიცხვო მოდულების იჯარაზე, რომელიც თავის თავში სრულ თანამედროვე პროგრამულ კომპლექსს გულისხმობს. მოხდა საკრედიტო, საოპერაციო და ბუღალტრული პროცესების ავტომატიზაცია. დაინერგა ოპერაციათა კონტროლის ორმაგი სტანდარტი. დაიწყო კაპიტალის ზრდა. მომხმარებლისათვის მრავალფეროვანი, მოქნილი და კონკურენტუნარიანი პროდუქტის შეთავაზების მიზნით, ჩამოყალიბდა და დაიხვეწა მისოს არაერთი პროდუქტი და განხორციელდა მათი მომხმარებლის მოთხოვნებისადმი მაქსიმალურად მისადაგება. მომხმარებელთან კომუნიკაციის გაუმჯობესების, ასევე საოპერაციო პროცესის გამარტივების, ოპტიმიზაციისა და სრულყოფის მიზნით, შეიქმნა მობილური აპლიკაცია, რომელიც მომხმარებელს საწარმოსთან მუდმივი კავშირისა და და სასურველ ინფორმაციაზე (მათ შორის პროდუქტებზე) 24 საათიან რეჟიმში წვდომის საშუალებას აძლევს.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია მობაილბანკინგის აპლიკაციის, პროცესების ავტომატიზაციის მიზნით - ,,ალტა სოფტვეარის“ სისტემის დანერგვისა, ასევე ვებ-გვერდის განახლების მიზნით გაწეული სამუშაოები. აღნიშნული სიახლეების დანერგვამ ჯგუფს საშუალება მისცა გაეუმჯობესებინა მომსახურების ხარისხი, მოეხდინა საოპერაციო პროცესების ავტომატიზაცია და მათი ადაპტირება მომხმარებლის მოთხოვნებთან. ყოველივე ზემოაღნიშნული, მომხმარებლებისათვის ხარისხიანი მომსახურების შეთავაზების ყველანაირ წინაპირობას ქმნის და დადებითად აისახება ჯგუფის მთლიან ეკონომიკურ სურათზე.
ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 30 ივლისის N276-1კ განკარგულებიდან გამომდინარე, ს.ს. მისო ,,ალფა ექსპრესის“ ,,ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების შესახებ შემოწმების აქტის

საფუძველზე, მისო„ალფა ექსპრესს“ მიეცა რეკომენდაცია - „უზრუნველყოფილ იქნას პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა (ინფორმაციის აღრიცხვის, სკრინინგის, ურთიერთდაკავშირებული პირების და საეჭვო/უჩვეულო გარიგებების აღმოჩენის კუთხით).

ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, ს.ს.მისო„ალფა ექსპრესმა“, პირველმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზარზე, კომპანია „ალტა სოფტვეართან“ და შპს „ჯი-ბი-თი-სი“ (TransGuard)-თან ერთად დანერგა ტრანზაქციების დამუშავების სისტემა. 2021 წლის 1 ივლისიდან ავტომატურად მოწმდება თითოეული კლიენტი ბაზებში და 3 თვეში ერთხელ ხდება კლიენტთა სრული ბაზის გადამოწმება ტრანსგარდის ბაზებში.

საბაზრო უპირატესობები

ჯგუფი საზოგადოებაში დადებითი რეპუტაციით სარგებლობს. მისი მომხმარებლები არიან როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები. ჯგუფში დასაქმებული კადრები გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციითა და საფინანსო სექტორში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მუშაობის შედეგად დაგროვილი დიდი გამოცდილებით. საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე, ჯგუფის წილი მთლიან ბაზარზე მნიშვნელოვანი არ არის, თუმცა საოპერაციო პროცესების ავტომატიზაციისა და საწარმოო პროცესში დანერგილი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების თვალსაზრისით, ერთ-ერთი მოწინავეა აღნიშნულ სეგმენტში მოქმედ კომპანიებს შორის.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2022 – 2023 წლების პერიოდზე, მომხმარებლების ოდენობის მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეინიშნება. ჯგუფი წინა წლის მსგავსად ისევ ერთ ლოკაციაზე ოპერირებს და ახლო მომავალში არ გეგმავს დამატებითი ფილიალების გახსნას. ასევე არ არის არსებითი ცვლილებები თანამშრომელთა რიგებში.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის/გასხვისების შესახებ

ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ალფა ექსპრესი“ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა 17 060 ფასიან ქაღალდს, რაც გამოშვებული ფასიანი ქაღალდების 34,12 %-ს შეადგენდა. ერთი ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 100 ლარს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ალფა ექსპრესის“ განაღდებული ფასიანი ქაღალდების მოცულობა მნიშვნელოვანი წილის მფლობელებზე გადანაწილდა შემდეგნაირად:

განაღდებული ფასიანი ქაღალდების 39,34 %-ის მესაკუთრე გახდა რაფიელ სურამელაშილი, რის შედეგადაც მასზე რიცხული ფასიანი ქაღალდების რაოდენობამ

შეადგინა 12 960 ფასიანი ქაღალდი. განაღდებული ფასიანი ქაღალდების 16.72% ეკუთვნის - ეკატერინე გიორგობიანს (5 506 ფასიანი ქაღალდი), განაღდებული ფასიანი ქაღალდის 15,45%-ის მესაკუთრე გახდა შ.პ.ს. ,,თ&რ დისტრიბუშენი", რის შედეგადაც მასზე რიცხული ფასიანი ქაღალდების რაოდენობამ შეადგინა 5 090 ფასიანი ქაღალდი. ერთი ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 100 ლარს.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები - ჯგუფის კაპიტალდაბანდებებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისათვის:

სააქციო კაპიტალი: 3 294 000 ლარი

მიღებული სესხები 2023 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის კომპანიას არ გააჩნია. მიღებული სესხების ჩანაცვლება განხორციელდა საქციო კაპიტალით.

დარგის საკანონმდებლო ცვლილებები

ბოლო წლების განმავლობაში მიკროსაფინასო მომსახურების ბაზარზე, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო თუ ეკონომიკური ცვლილებები შეინიშნება. საკანონმდებლო ცვლილებებმა, დედოლარიზაციის პოლიტიკამ და ბაზრის მოცულობის მნიშვნელოვანმა ზრდამ, ჯგუფი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ჯგუფი დამატებითი რესურსის მოძიებას სააქციო კაპიტალის შევსების გზით ახდენს.

2017 წლის 23 დეკემბერს ხელი მოეწერა საქართველოს კანონს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლითაც სხვა ცვლილებებთან ერთად გაიზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კაპიტალის მინიმალური ოდენობა 1 მილიონ ლარამდე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №143/04 ბრძანებით განისაზღვრა საზედამხედველო კაპიტალის შევსების წესი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებულნი იყვნენ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა შეევსოთ 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) არანაკლებ 500,000 ლარისა 2018 წლის 31 დეკემბრამდე:

ბ) არანაკლებ 1,000,000 ლარისა 2019 წლის 30 ივნისამდე:

ამავე ბრძანებით განისაზღვრა ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ესენია: ა) კკ (კაპიტალის კოეფიციენტი); ბ) ლკ – (ლიკვიდობის კოეფიციენტი); გ) იკ (ინვესტიციების კოეფიციენტი); დ) ქკ (ქონებრივი ინვესტიციის კოეფიციენტი); ე) ისკ (ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი); ვ) დაკ (დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი)

ასევე, 2017 წლის 23 დეკემბერს მოეწერა ხელი საქართველოს კანონს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლითაც შეიზღუდა მეწარმე სუბიექტების მიერ ფულადი სახსრების მოზიდვა. ცვლილების მიხედვით, „თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნებისმიერი ფორმით იზიდავს ფულად სახსრებს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან, თითოეული ფიზიკური პირისგან მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100 000 (ასი ათას) ლარზე (ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე) ნაკლები. თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას წარმოეშობა ამ ნაწილის

მოთხოვნების დაცვის ვალდებულება, მან 20-ზე ნაკლები ფიზიკური პირისგან მოზიდული 100 000 (ასი ათას) ლარზე (ან უცხოური ვალუტით მის ექვივალენტზე) ნაკლები თანხა უნდა გადაიხადოს აღნიშნული ვალდებულების წარმოშობიდან 1 წლის განმავლობაში.“

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №142/04 ბრძანებით განისაზღვრა აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესი.

2018 წლის 24 დეკემბერს ძალაში შევიდა ბრძანება N281/04 „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, რომლითაც შემოღებულ იქნა მსესხებელთა გადამხდელუნარიანობის დეტალური ანალიზის პრინციპები.

სუბიექტის განვითარების გეგმები

2023 წლის ზაფხულიდან (20 ივლისი) სასესხო პროდუქტებზე ფასები გაიზარდა და წლიურმა საპროცენტო მაჩვენებელმა შეადგინა 18-30 %.

ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს ბიზნეს სექტორის დაკრედიტებაზე შესაბამისი დადებითი ფინანასური მაჩვენებლებისა და უზრუნველყოფის არსებობის შემთხვევაში. ასევე მიმდინარეობს ავტოსესხების გაცემის ზრდაც, რადგან წლიური საპროცენტო განაკვეთი (24-30 %) საკმაოდ მიმზიდველია მომხმარებლისთვის. ავტოსესხები გაიცემა 10 წლის და უფრო ახალ გამოშვებულ და ძირითადად ჯგუფის სასარგებლოდ დაზღვევის მქონე ავტომობილებზე. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ჯანსაღი პორტფელის შენარჩუნებას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს ვადაგადაცილებულ სასესხო პორტფელზე მუშაობას. კერძოდ, პრობლემური სასესხო პორტფელის დაფარვისა და მისი გაჯანსაღების მიმართულებით შეინიშნება მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენცია. დაფარულია ვადაგადაცილებული და პრობლემური სასესხო პორტფელის უდიდესი ნაწილი, ხოლო მიმდინარე სესხებზე ვადაგადაცილების დაფიქსირების 30 დღის დადგომისთანავე, ხდება შესაბამისი აქტივის სპეციალური მონიტორინგის პროგრამის ქვეშ მოქცევა და მსესხებლის წინაშე სოციალური პასუხისმგებლობის შენარჩუნების პირობებში, რისკის მინიმიზების მიზნით გეგმაზომიერი მოქმედებები ხორციელდება. აღნიშნული ჯანსაღი მიდგომის შედეგად, წინა პერიოდებთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული სასესხო პორტფელის ხარისხი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ს.ს. მისო „ალფა ექსპრესი“ აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნას არანაკლებ 1,000,000 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული ქმედებები მიმართულია ჯგუფის ლიკვიდობის გაზრდისა და საკანონმდებლო სივრცეში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დამკვიდრებულ ახალ მოთხოვნებთან ჯგუფის ეკონომიკური მაჩვენებლების შესაბამისობის უზრუნველყოფისაკენ.

ჯგუფის მიერ მუდმივად მიმდინარეობს ღია სავალუტო პოზიციების დახურვა და უცხოურ ვალუტაში არსებული აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსის შენარჩუნება, რათა სავალუტო კურსის ცვლილებამ ვერ შეძლოს დიდი ზეგავლენის მოხდენა.

რისკების მენეჯმენტი
საკრედიტო რისკი

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებულმა რომელიმე მხარემ შეიძლება ვერ შეძლოს დაკისრებული ვალდებულების შესრულება, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი. რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება მმართველი ორგანოს მიერ დაწესებულ ლიმიტებში.

ორგანიზაცია იყენებს იგივე საკრედიტო პოლიტიკას პირობით ვალდებულებებთან მიმართებაში, როგორსაც ბალანსში ასახულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რაც ითვალისწინებს გარკვეულ პროცედურების განხორციელებას სესხის დამტკიცების მიზნებისათვის, მათ შორის ლიმიტების გამოყენებას რისკის შესამცირებლად და მიმდინარე მონიტორინგს.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები ზრდის საკურსო სხვაობის რისკს. ორგანიზაცია იმ სავალუტო რისკის წინაშე დგას, რომელიც წარმოიშვება აშშ დოლარისა და ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებით. თუმცა, ორგანიზაციის მენეჯმენტი არ მოელის აშშ დოლარისა და ლარის გაცვლითი კურსების მნიშვნელოვან უარყოფით ცვლილებას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ზოგადად შეიძლება განსაზღვრულ იქნეს როგორც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობა.

აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეფასებისას ჯგუფს აქვს დადებითი წმინდა პოზიცია.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკებიდან ჯგუფისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2018 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომლის მიხედვითაც გაცემულ სესხებზე წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი 50%-ით განისაზღვრა. ამ ცვლილებას ჯგუფზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია, რადგან მის მიერ გაცემული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50%-ზე დაბალი იყო.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ს.ს. მისო „ალფა ექსპრესი“-ს ხელმძღავნელობის მიერ პერმანენტულად ხორციელდება სხვადასხვა შესაძლო რისკების ანალიზი, რისკების პრევენციის მიზნით.

ასეთ რისკებს შორის არის: საბაზრო, საკრედიტო, სავალუტო, საპროცენტო, ლიკვიდურობისა და საოპერაციო რისკები.

ზემოაღნიშნული რისკების პრევენციის მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ხორციელდება შესაბამისი რისკების რეგულარული მონიტორინგი საქმიანობის სფეროების ჭრილში.

ჯგუფს აქვს სავალუტო რისკი, მაგრამ ამავდროულად ამ რისკის შესაბამის მართვას ახდენს, შესაბამისი პრევენციული ხასიათის ღონისძიებების განხორციელების გზით.

ჯგუფს შემუშავებული აქვს საკრედიტო პოლიტიკა და პროცედურები, რომლითაც ხდება საკრედიტო რისკების მართვა. კლიენტის სასესხო განაცხადს განიხილავს საკრედიტო კომიტეტი, რომელიც პოლიტიკით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა და სხვა) ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას. მსესხებლის ბიზნესის/შემოსავლების მონიტორინგის საფუძველზე, მისი გადახდისუნარიანობის ანალიზი, ფინანსური ზარალის რისკის პრევენციის საშუალებას იძლევა. სასესხო პორტფელზე მიმდინარეობს სისტემატიური მონიტორინგი, რის შედეგადაც მყისიერი რეაგირება ხდება ვადაგადაცილების თითოეულ შემთხვევაზე. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შეჯერებული ინფორმაცია, შემდგომი რეაგირებისათვის სისტემატურად წარედგინება შესაბამის სტრუქტურებს (აუდიტის სამსახური, სამეთვალყურეო საბჭო).

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ირაკლი მაჭავარიანი _____ 12 აპრილი, 2024 წელი

დირექტორი

ქეთევან დარსაძე _____ 12 აპრილი, 2024 წელი